ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

შეფასების მიზნით, ბასს 39-ში (“ფინანსური ინსტრუმენტები: შეფასების აღიარება”), ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანებები და (ბ) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (დ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები (“FVTPL”). მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები იყოფა ორ ქვეკატეგორიად:

(I) საწყისი აღიარებისას ამგვარად აღნიშნული აქტივები და (II) აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი. გარდა ამისა, ფინანსური იჯარიდან მისაღები სახსრები ცალკე კატეგორიას განეკუთვნება. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას.

სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში. შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით. შვილობილი კომპანიებიდან ან ასოცირებული პირისგან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება.

იმის განსასაზღვრად, არის თუ არა აუცილებელი გაუფასურების ზარალის აღიარება შვილობილ კომპანიაში ინვესტიციასთან დაკავშირებით, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება, როგორც ერთი მთლიანი აქტივი, გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით - მისი აღდგენადი ღირებულების (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უდიდესი ღირებულება) შედარებით მის საბალანსო ღირებულებასთან. აღიარებული გაუფასურების ზარალი წარმოადგენს ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა ასევე აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ინვესტიციები ასოცირებულ პირებში. ასოცირებული პირები არიან კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან არაპირდაპირ), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლებების 20-50 პროცენტის ფლობას.

კომპანიის ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ პირებში აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის თანახმად - ინვესტიციის აღდგენადი ოდენობის შემდგომი გაზრდით.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით,

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის

საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ სასარგებლო ვადაზე მათი ღირებულების თანაბარი განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობა	50
მანქანა დანადგარები და სხვა ინვენტარი	5 -10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა მოწყობილობა	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, თუმცა არა ჩვეულებრივ ბიზნეს საქმიანობაში გაყიდვის, საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღიარებს თვითღირებულების მოდელით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მოგების გადასახადის ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია. კომპანია შემოსავლების სამსახურისგან მისაღებ საგადასახადო აქტივებს აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც კომპანია არარეზიდენტ პირებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებით საშემოსავლო გადასახადს იხდის არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებულ ღირებულებებზე განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება.

გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოქმნისას ერთი ან მეტი შემთხვევების შედეგად (დანაკარგის შემთხვევები), რომლებიც განხორციელდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას და რომლებსაც აქვთ გავლენა თანხაზე ან ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავლო ფულადი სახსრების ბრუნვის დროის განსაზღვრა ან ფინანსური აქტივების კომპანია, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, მიუხედავად იმისა მნიშვნელოვანია თუ არა ის და რომ ის მოიცავს აქტივს კომპანიაში მგავსი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. საწყისი ფაქტორები იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს განსაზღვრაში არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული მისი გადავადებული სტატუსი და რეალიზება საკუთრების ბანკში ჩადებული უზრუნველყოფის ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სხვა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება ასევე იმის გადასაწყვეტად არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ წარმოიქმნა გაუფასურების დანაკარგი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებაზე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

სააქციო კაპიტალი. საზოგადოების სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ, რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები. ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

რეზერვები აისახება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელთა გაწევაც, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, გადასახადამდე განაკვეთით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულებისა და ვალდებულების სპეციფიური რისკების ბაზრისეული შეფასება. დროის გასვლით გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯად.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2,6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3,0701
ლარი/1 თურქული ლირა	0.4821	0,5076

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული თუ ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა კომპანია შემოსავლებს იღებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს გადაცემულ პროდუქტზე/მომსახურებაზე, რომელიც შესაძლოა მოხდეს დროის გარკვეულ მომენტში ან დროთა განმავლობაში. კომპანია აღიარებს ამონაგებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით გადაცემული საქონლისა და მომსახურების შესაბამისად.

კომპანიის ამონაგების უდიდესი ნაწილი მიღებულია სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან. გაწეული მომსახურებები (მათ შორის, ნომრების გაქირავება, საკვებისა და სასმელის გაყიდვა და სხვა თანმდევი სერვისები) წარმოადგენენ განცალკევებულ შესასრულებელ ვალდებულებებს, რომელთა შესაბამისი თანხა წარმომადგენლობითია მათი განცალკევებით გასაყიდი ფასებისა. კომპანია, ზოგადად, ასრულებს თავის შესასრულებელ ვალდებულებებს დროთა განმავლობაში და ყოველდღიურად აღიარებს ამონაგებს ნომრების გაქირავებისა და სტუმართათვის გაწეული სხვა თანმდევი მომსახურებებისთვის.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული სიტყვიერი შეთანხმებებიდან, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს, აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული გაყიდვიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. მომხმარებელი თახას იხდის მას შემდეგ რაც იღებს საქონელს ან მომსახურებას სასტუმროში.

კომპანიას, ასევე არ აქვს ისეთი ხელშეკრულება სადაც მომსახურების გაწევის პერიოდი და მომხმარებლისგან მიღებული ანაზღაურებას შორის პერიოდი აჭარბებს ერთ წელს. აქედან გამომდინარე კომპანია არ აკორექტირებს გარიგების ფასს ფულის დროითი ღირებულების გავლენით. კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულება

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა.

**კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის**

ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

პირობითი ვალდებულება არის,

- ა) შესაძლო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან

- ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან:

- მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან

- ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. ინფორმაცია პირობითი ვალდებულების შესახებ გაშიფრულია კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღსა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღს შორის პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები, რომლებიც შეიცავენ დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო რომელიც არ ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებზე აისახება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კონსოლიდაციის საფუძველები

შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, სტრუქტურულზეებული საწარმოების ჩათვლით, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებისა და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასებისა და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. კაპიტალის ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული ტრანზაქციების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასვლა

ჯგუფს აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი გაუნაწილებელი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულების ცვლილება კი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, საჭიროებისამებრ

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა დანადგარები და სხვა ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	6,253,992	15,619,966	9,165,305	1,145,166	4,135,962	111,472	838,207	37,270,070
შესყიდვა 2018	77,238	24,809,952	2,564,909	182,673	37,800	7,591	162,756	27,842,919
გასვლა 2018	(77,238)	(15,626,216)	(171,144)	(180,218)	(4,072,908)	(78,493)		(20,206,217)
31 დეკემბერი 2018	6,253,992	24,803,702	11,559,070	1,147,621	100,854	40,570	1,000,963	44,906,772
შესყიდვა 2019		19,928,025	271,474	4,642,479	131,898	28,718		25,002,594
გასვლა 2019			(4,621,768)	(86,743)	(2,783)	(1,686)	(175,200)	(4,888,180)
31 დეკემბერი 2019	6,253,992	44,731,727	7,208,776	5,703,357	229,969	67,602	825,763	65,021,186
აკუმულირებული ცვეთა								
31 დეკემბერი 2017 დაგროვილი ცვეთა			(26,812)	(41,253)	(609,713)	(31,459)	(80,756)	(789,993)
2018 მიმდინარე წლის ცვეთა			(138,266)	(245,431)	(207,563)	(13,222)		(604,482)
2018 რეალიზებული ცვეთა			3,268	26,656	793,930	23,061	-	846,915
31 დეკემბერი 2018 დაგროვილი ცვეთა			(161,810)	(260,028)	(23,346)	(21,620)	(80,756)	(547,560)
2019 მიმდინარე წლის ცვეთა			(171,272)	(415,084)	(25,912)	(10,185)		(622,453)
2019 რეალიზებული ცვეთა			45,796	28,865	684	1,435	80,756	157,536
31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა	-	-	(287,286)	(646,247)	(48,574)	(30,370)	-	(1,012,477)
წმინდა საბალანსო 31 დეკემბერი 2017	6,253,992	15,619,966	9,138,493	1,103,913	3,526,249	80,013	757,451	36,480,077
წმინდა საბალანსო 31 დეკემბერი 2018	6,253,992	24,803,702	11,397,260	887,593	77,508	18,950	920,207	44,359,212
წმინდა საბალანსო 31 დეკემბერი 2019	6,253,992	44,731,727	6,921,490	5,057,110	181,395	37,232	825,763	64,008,709

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სს „თიბისი ბანკი“-ს საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია:

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო მონაცემებით 05.32.12.087, 30430 კვ.მეტრი და მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობა, კომერციული ფართი 2881,9 კვ.მეტრი.

2019 წელს კომპანიამ დაარეგისტრირა ახალი შვილობილი კომპანია RIGA CASINO BATUMI-JSC (ს/კ 445564782), რომლის კაპიტალი 2019 წლის 27 აგვისტოს აქციონერთა გადაწყვეტილებით შეივსო 4,588,442 ლარის ღირებულების უძრავი ქონებით, რომელიც წარმოადგენდა სს მეტრო ატლას ჯორჯიას საკუთრებაში არსებულ ქონებას ფართი, ქალაქ ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქ N1 სართული 1, კომერციული ფართი N1 (კაზინო), საერთო ფართი 4770,77 კვ.მ, საკადასტრო კოდით 05.32.12.097.01.001, ფართის მოიჯარე გახლავთ შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია (ს/კ 445472667). მოიჯარე აქვს უპირატესი გამოსყიდვის პირობა. იჯარის ვადა ხელშეკრულებით თანახმად განსაზღვრულია ათი წელი.

2017 წლის სექტემბერში „ჯგუფის“ მეორე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და პრივატიზების პირობით შეისყიდა ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფელ რიყეთში მდებარე 10,997 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ს/კ 23.14.36.264 ; 24.14.36.263; 23.14.36.232; 23.01.34.211). პრივატიზების პირობები ითვალისწინებდა შემდეგს:

მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (სასტუმროს არანაკლებ 120 ნომერი, კვებიე ობიექტ-(ებ)-ი, არანაკლებ 40 მანქანაზე გათვლილი ავტოპარკინგი) მშენებლობა. აღნიშნულ პროექტზე არანაკლებ 12 000 000 აშშ დოლარის ექვევალეტი ლარის ინვესტიციის განხორციელება.

მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ამოქმედებიდან 2 (ორი) თვის ვადაში არანაკლებ 60 (სამოცი) მოქალაქის დასაქმება, რომელთა 90%-ს უნდა შეადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები.

5. მიმდინარე მარაგები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი მარაგები, ბალანსები მოიცავს შემდეგს:

მიმდინარე მარაგები	2019	2018
საქონელი	34,439	
ნედლეული და მასალა	387,364	535,634
დაუმთავრებელი მშენებლობა	29,247,395	14,390,682
მზა პროდუქცია	12,377,672	11,500,284
ჯამი	42,046,870	26,426,600

„ჯგუფს“ მზა პროდუქციის სახით, კომპანიას ერიცხება დამთავრებული ბინების თვითღირებულება, რომელიც გამიზნულია სარეალიზაციოდ.

„ჯგუფს“ დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ბალანსზე გააჩნია დაუმთავრებელი სასტუმროს ტიპის აპარტამენტები.

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

6. სავაჭრო მოთხოვნები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო მოთხოვნები	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,120,988	2,762,388
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	10,467,142	35,366,719
ჯამი	12,588,130	38,129,107

7. გადახდილი ავანსები

გაცემული ავანსები წარმოადგენს სასტუმროსა და აპარტამენტების მშენებლობისთვის გადახდილ თანხებს, რომელიც 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 7 996 523 და 2 289 289 ლარს.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 და 2018 წლების ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფული და ფულის ექვივალენტები	2019	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	227,476	250,134
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	482,490	2,594,335
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	14,459,102	16,276,018
ჯამი	15,169,067	19,120,487

9. სხვა საგადასახადო აქტივები

საბიუჯეტო ზედმეტობა გამოწვეულია ტურისტული საწარმოს სტატუსის სარგებლობით, გაყიდული ბინები განთავსიუფლებულია დღგ-გან ჩათვლის უფლებით.

ბინათმფლობელებთან ფორმდება წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, შემდგომ აქტის საფუძველზე ხდება საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. სსკ 26-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის #279 დადგენილების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის #303 ბრძანების მე-14 მუხლის „გ“ პუნქტისა და შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 2 ივნისის #2742 ბრძანების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2016 წლის 27 ოქტომბრიდან მიენიჭა ტურისტული საწარმოს სტატუსი. სტატუსის მინიჭების შემდგომ გაფორმებული აქვს ბინათმფლობელებთან საიჯარო ხელშეკრულებები ბინის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ტურისტული საწარმოს სტატუსის მქონე კომპანია ვალდებულია არა უმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული ობიექტიდან (სასტუმრონდა) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისათვის/ოპერირებისათვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა ჯამურად არ იყოს ამავე

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დღ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ბრუნვაზე ნაკლები.

10. სააქციო კაპიტალი

სს „მეტრო ატლას ჯორჯიას“ სააქციო კაპიტალი შეადგენს 42 000 000 ლარს. დამფუძნებელია, პარტნიორი და 100% აქციის მფლობელია სს „მეტრო ავრასია ჯორჯია“, რომელსაც საბოლოოდ მაკონტროლებელი პირია ბ.ნ. გალიფოვ ოზთურქი.

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მესაკუთრეზე გადასახდელი დივიდენდი გამოცხადებული იყო 95 355 950 ლარი.

11. სავაჭრო ვალდებულებები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

სავაჭრო ვალდებულებები	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,643,139	2,136,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	9,720,278	5,919,219
აპარტამენტის შესყიდვისთვის მიღებული ავანსები	12,000,342	8,928,489
ჯამი	23,363,758	16,984,237

დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო ვალდებულება წარმოიშვა, პროექტზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს და შვილობილი კომპანიების რეალიზაციით.

12. სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	საპროცენტო განაკვეთი %	2019	2018
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი მფლობელი	9%	27,161,804	16,478,239
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		2019	2018
ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტი მფლობელი	10%	-	250,000
სხვა დაკავშირებულ მხარესთან	11%		

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ჯგუფს ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული აქვს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო მონაცემებით 05.32.12.087, 30430კვ.მეტრი და მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობა, კომერციული ფართი 2881,9 კვ.მეტრი , როგორც გარანტია თანხების გადახდებზე.

13. შემოსავალი

შემოსავლის ძირითადი წყაროა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და რეალიზაცია და საიჯარო ფართების გაქირავება.

შემოსავლები	2019	2018
შემოსავალი გაყიდვებიდან	1,145,248	3,165,681
შემოსავალი აპარტამენტების გაყიდვიდან	5,356,567	5,085,546
შემოსავალი იჯარიდან და ოპერირებიდან	25,515,653	22,702,623
სხვა შემოსავლები	3,977,455	3,585,353
ჯამი	35,994,924	34,539,203

კომპანიას გაფორმებული აქვს მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებები, რის მიხედვითაც ის იღებს დამკვეთი კომპანიისგან მართვის უფლებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რათა მან უზრუნველყოს საიჯარო ფართების გაქირავება მესამე პირზე. ის უზრუნველყოფს მესამე მხარეს კომუნალური და დასუფთავების მომსახურებით.

საიჯარო ფართის მოიჯარეზე გაქირავების შემდეგ მომსახურების სანაცვლოდ, კომპანია მომსახურების საზღაურის სახით იღებს თითოეული მოიჯარის მიერ გადახდილი თვიური ქირის საფასურის (რასაც გამოაკლდება კომპანიის მიერ გაწეული სხვადასხვა მომსახურების თანხა, ასევე კომუნალური გადასახადი (არსებობის შემთხვევაში) 3% -ს , რაზეც ყოველ მომდევნო თვეში გამოიწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა. ხოლო დარჩენილ 97%-ს ურიცხავს დამკვეთს საბანკო ანგარიშზე.

14. რეალიზებული პროდუქციით თვითღირებულება

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება :

თვითღირებულება	2019	2018
საქონლის თვითღირებულება	(866,237)	(3,529,112)
აპარტამენტების თვითღირებულება	(1,228,369)	(1,189,744)
იჯარის და ოპერირების ხარჯი	(23,199,283)	(19,506,000)
სხვა ხარჯები	(3,239,394)	(3,572,818)
ჯამი	(28,533,283)	(27,797,674)

15. შვილობილი კომპანიების რეალიზაცია

კომპანიამ 2019 წელს დაარეგისტრირა ახალი შვილობილი კომპანია RIGA CASINO BATUMI-JSC (ს/კ 445564782), რომლის კაპიტალი 2019 წლის 27 აგვისტოს აქციონერთა გადაწყვეტილებით შეივსო 4 588 442 ლარად, რომელიც წარმოადგენს სს მეტრო ატლას ჯორჯიას საკუთრებაში არსებულ ქონებას (05.32.12.097.01.001 საკადასტრო).

2019 წლის 2 დეკემბრის საბჭოს გადაწყვეტილებით მოხდა სასყიდლიანი წესით რიგა კაზინოს წილის გაყიდვა დედა კომპანიას სს მეტრო ავრასია ინვესთმენტ ჯორჯიაზე, 40 000 000 მლნ ლარად.

16. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

კომპანიამ 2018 წლის მდგომარეობით ბალანსზე არსებული ფინანსური იჯარის მოთხოვნის ნაწილი ამოიღო, ვინაიდან 2019 წელს კომპანიამ დაარეგისტრირა ახალი შვილობილი კომპანია RIGA CASINO BATUMI-JSC (ს/კ 445564782), რომლის კაპიტალი 2019 წლის 27 აგვისტოს აქციონერთა გადაწყვეტილებით შეივსო 4,588,442 ლარის ღირებულების უძრავი ქონებით, რომელიც წარმოადგენდა სს მეტრო ატლას ჯორჯიას საკუთრებაში არსებულ ქონებას ფართი, ქალაქ ბათუმში ლეხ და მარია კაჩინსკების ქ N1 სართული 1, კომერციული ფართი N1 (კაზინო), საერთო ფართი 4770,77 კვ.მ, საკადასტრო კოდით 05.32.12.097.01.001, ფართის მოიჯარე გახლავთ შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია (ს/კ 445472667). მოიჯარე აქვს უპირატესი გამოსყიდვის პირობა. იჯარის ვადა ხელშეკრულებით თანახმად განსაზღვრულია ათი წელი.

17. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები. კომპანია ჩართულია სხვა სახის დავაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ანარიცხი წარმოადგენს დირექტორის საუკეთესო შეფასებას, რომელიც ეფუძნება შესაბამისი დარგის ექსპერტის მოსაზრებას. განუსაზღვრელია დავა მოგვარდება თუ არა სასამართლოს გარეშე. ასევე განუსაზღვრელია კომპანია წარმატებული იქნება თუ არა მისი პოზიციის დაცვაში. დავის ხასიათიდან გამომდინარე, დირექტორი არ განმარტავს დამატებითი ინფორმაციას გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად დააზარალოს კომპანია მოცემული დავის განხილვისას.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

18. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	2019	2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,169,067	19,120,487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,588,130	38,129,107
გაცემული სესხები		
	27,757,197	57,249,594
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23,363,759	16,984,237
მიღებული სესხები	27,161,804	16,478,239
	50,525,563	33,462,476

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები

რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2019 და 2018 წლების არის შემდეგი:

	GEL	USD USD 1 = 2.8677 GEL	EUR EUR 1 = 3.2095 GEL	TRY TRY 1 = 0,4821 GEL	12/31/2019
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	227,476	482,490		14,459,102	15,169,067
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,120,988	10,467,142			12,588,130
ფინანსური აქტივები, სულ	2,348,464	10,949,632	-	14,459,102	27,757,197
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,363,417	12,000,342			23,363,759
მიღებული სესხები			27,161,804		27,161,804
ფინანსური ვალდებულებები, სულ	11,363,417	12,000,342	27,161,804	-	50,525,563
ღია სავალუტო პოზიცია	(9,014,953)	(1,050,710)	(27,161,804)	14,459,102	

	GEL	USD USD 1 = 2.6766 GEL	EUR EUR 1 = 3.0701 GEL	TRY TRY 1 = 0,5076 GEL	12/31/2018
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	250,134	2,594,335		16,276,018	19,120,487
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,762,388	35,366,719			38,129,107
გაცემული სესხები					-
ფინანსური აქტივები, სულ	3,012,522	37,961,054	-	16,276,018	57,249,594
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,055,748	8,928,489			16,984,237
მიღებული სესხები			16,478,239		16,478,239
ფინანსური ვალდებულებები, სულ	8,055,748	8,928,489	16,478,239	-	33,462,476
ღია სავალუტო პოზიცია	(5,043,226)	29,032,565	(16,478,239)	16,276,018	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას.

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2019	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(210,142)	210,142	(5,432,361)	5,432,361

2018	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	GEL/USD	GEL/USD	GEL/EUR	GEL/EUR
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	5,806,513	(5,806,513)	(3,295,648)	3,295,648

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუროთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

19. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფს და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წელი	აქციონერი	საერთო კონტროლის ქვეშ	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	10,467,142
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	9,720,278
მიღებული სესხები	-	-	-	-

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საიჯარო შემოსავალი	25,515,653	25,515,653
--------------------	------------	------------

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კორონა ვირუსის (COVID-19) მნიშვნელოვანი გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულის გათვალისწინებით, კორონა ვირუსით გამოწვეული ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას, შესაბამისად პროგნოზები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რელევანტურია და არ საჭიროებს ცვლილებას აღნიშნული მოვლენის (კორონა ვირუსი) გამო.


მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსი მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გავრცელების გამო 2020 წლის იანვარში პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავლენა ინდუსტრიების მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა იგი ყველა სექტორში არსებულ კომპანიებზე მოახდენს გავლენას. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა შეზღუდვები დაეწესებინა. აქედან გამომდინარე, კომპანიამ 2020 წლის მარტში ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, იჯარის გადასახადის შეაჩერება. რაც აისახა კომპანიის შემოსავლებზე, იხილეთ მე-14 შენიშვნა.

21. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

2021 წლის 8 იანვრის აქციონერთა გადაწყვეტილებით სს მეტრო ატლას ჯორჯიამ თავის შვილობილ კომპანიას სს „მეიჯ კაზინო კლუბი“-ის (ს/ნ 445571596) კაპიტალში უძრავი ქონების სახით შეიტანა 1,683,731 ლარის ღირებულების უძრავი ფართი (ს/კ 05.32.14.099.04.01.001), რომელიც სს მეტრო ატლას ჯორჯიას მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მარაგების, „მზა პროდუქცია“-ის მუხლში, რომელიც წარმოადგენს აშენებულ აპარტამენტებს.

2021 წლის 26 იანვარს კომპანიამ თავის შვილობილ კომპანიას სს „ბინგო ოტელ ბათუმი“-ს (ს/ნ 445571550) კაპიტალი შეუვსო უძრავი და მოძრავი ქონებით ჯამში 12,226,990 ლარს. სს მეტრო ატლას ჯორჯიას მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძირითადი საშუალების მუხლში „დაუმთავრებელი მშენებლობა“ რომელიც შეადგენს 9 508 595 ღირებულების ქონებას, „ავეჯი და სხვა ინვენტარით“, რომლის ღირებულება შეადგენს 1 971 616 ლარს და მარაგის მუხლის „მზა პროდუქცია“-ს - რომლის ღირებულება შეადგენს 746 779 ლარს.

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“



მმართველობითი ანგარიშგება
2019 წლის ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა

სარჩევი :

ჩვენს შესახებ	3
ჯგუფი	3
ჯგუფის მიზანი	4
ჩვენი საქმიანობა	4
დასრულებული პროექტები	5
მიმდინარე პროექტები	6
რეგულაცია	7
ძირითადი რისკები და გაუგებრობები	7
ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	10

ჩვენს შესახებ

კომპანია

სიამაყით ავლნიშნავთ, რომ არამარტო ჩვენთვის არამედ მთელი მსოფლისათვის ყველა ასპექტით ურთულესი 2020 წლის მიუხედავად კომპანია სს „მეტრო ატლას ჯორჯია“-მ ყველა მიმართულებით, არათუ შეინარჩუნა ქალაქ ბათუმში თავისი არსებული პოზიციები არამედ შევძელით და მოვახერხეთ ჩვენი პროექტების პორტფელის განახლება, დავასრულეთ რა ქალაქ ბათუმში ერთერთი უმსხვილესი სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსი LEGEND - ბათუმი, რაც არსებული პანდემიისა და მთავრობის მიერ დამატებით გამოცხადებული უმკაცრესი რეგულაციების ფონზე ორმაგად სასიამოვნოა მთელი ჩვენი პროფესიონალი გუნდის თითოეული წევრისთვის.

კომპანია სათავეს 21/02/2012 წლიდან იღებს, განთავსებულია მისამართზე ქ. ბათუმი. ლეხ და მარია კაჩინსკების ქ., N1ა. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 42,000,000 ლარია .

სს მეტრო ატლას ჯორჯია-ს გამოშვებული აქვს ჩვეულებრივი აქციები 420000 ცალის ოდენობით ნომინალური ღირებულებით 1 აქცია - 100 ლარი, სულ რეგისტრირებულია აქციათა 1 მფლობელი და ეს არის კომპანია, სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“ რომელიც ამგვარად კომპანია სს მეტრო ატლას ჯორჯია-ს 100 % წილის მფლობელად გვევლინება .

კომპანიის მმართველობით ორგანოს წარმოადგენს :

- საერთო კრება ;
- დირექტორთა საბჭო - რომლის წევრებიც თავის მხრივ არიან :

1. დირექტორი/წევრი: ნინო ირემაძე, 61006035038
2. დირექტორი/წევრი: ქუმსალ ათან, 24718858890, U20976359 /თურქეთი/
3. დირექტორი/წევრი: ესმა ზანდარაძე, 61007006609

კომპანიის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია 3 დირექტორის სახით :

1. დირექტორი - ესმა ზანდარაძე, 61007006609
2. დირექტორი - ნინო ირემაძე, 61006035038
3. დირექტორი - ქუმსალ ათან, 24718858890, U20976359 /თურქეთი/

კომპანიის საკომუნიკაციო რეკვიზიტები:

ვებ გვერდი : www.metrocity.ge

ელ-ფოსტა : info@metrocity.ge

ტელეფონი : +995 577 14 17 14

კომპანიის მიზანი

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“ როგორც მეტრო ჰოლდინგის ქოლგის ქვეშ შემავალი კომპანიებიდან, წამყვანი კომპანია, მუდმივად ორიენტირებულნი ვართ ინოვაციური მიდგომებით, პროფესიონალიზმით განვავითაროთ ჩვენი ჰოლდინგის საქმიანობის არეალი და ამასთან მხარი დავუჭიროთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ორიენტირებულნი ვართ კომპანიის ეფექტურობის გაზრდაზე და მუდმივად ახალი შესაძლებლობებისა და სეგმენტების როგორც შექმნაზე ასევე ათვისებაზე რათა ბიზნესი ვითარდებოდეს და რაც მთავარია იზრდებოდეს წლიდან წლამდე .

მუდმივად ვცდილობთ არ დავწიოთ ხარისხის ის მაღალი თამასა რაც წლების წინ შევთავაზეთ ჩვენს მრავალრიცხოვან კლიენტებს და მათთან ინდივიდუალური მიდგომით ვცდილობთ ხარისხიანი სერვისებისა და პროდუქტების მიწოდებას, და როგორც მსხვილი მრავალპროფილიანი კომპანია მაქსიმალურად ვართ შედეგებზე ორიენტირებული ამიტომ როგორც მიმდინარე ასევე უკვე განხორციელებულ პროექტებმკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური პრონციპით ვუდგებით, პროექტების სპეციფიკიდან გამომდინარე .

მიგვაჩნია და ამასთან ვთვლით რომ სამართლიანადაც ის რომ ჩვენი კომპანიის ძალიან დიდ წარმატებად მივიჩნევთ ბიზნესის კეთილსინდისიერად და ეფექტურად მართვას და ამ ყოველივეს როგორც შედეგი: გვყავს კმაყოფილი კლიენტებისა და პარტნიორების ასევე მაღალპროფესიონალი, კომპეტენტური და თავის საქმეზე შეყვარებული თანამშრომლების გუნდი .

ჩვენი საქმიანობა

დასრულებული პროექტები

მეტრო სითი - რომელიც შეიქმნა კონცეფციით „ქალაქი ქალაქში“ აქ ყველა სერვისი განთავსებულია ერთი ობიექტის ქვეშ ისე რომ იქ მცხოვრებმა ან ჩამოსულმა ვიზიტორმა იგრძნოს სრული კომფორტის განცდა და მიიღოს მრავალფეროვანის სერვისები. ის განთავსებულია ახალ ბულვარში ლეხ და მარია კაჩინსკების გამზირის დასაწყისში. ფართი მთლიანად ეკუთვნის საკუთრებაში სს მეტრო ატლას ჯორჯიას. დახურული ფართობი მოიცავს 101.000 მ² და აერთიანებს 4 ცალკე აღებულ საცხოვრებელ ბლოკს მათში განთავსებული 365 რეზიდენციით და ასევე მოცემულ ბლოკების პირველ სამ სართულზე განთავსებული 108 ნომრიან სასტუმრო აპარტამენტებს, რომელიც თავისი უნიკალური მდებარეობიდან და ამასთან მეტრო სითის სხვა დამატებით სერვისების ფონზე საკმაოდ პოპულარულია ჩვენს ქალაქში ჩამოსული ვიზიტორებისთვის ასევე შიდა ტურისტებისთვისაც.

მეტრო სითის ტერიტორიაზევა განთავსებული გრანდიოზული 455 ნომრიანი 5 ვარსკვლავიანი სტატუსის მქონე სასტუმრო ეუფორია. კომპლექსში შედის დიდი საკონფერენციო დარბაზი (2,000 მ²), 4 საკონფერენციო დარბაზი, რესტორნები, სპა

რომელ იც მოიცავს ღია და დახურული აუზებს, სავარჯიშო დარბაზს, თურქულ აბანოს, ფინურ მასაჟს. არის 8 მასაჟის ოთახი და 2 VIP ზონა, კაზინო და სხვადასხვა გასართობი ცენტრები. თავის მხრივ რესტორანი შედგება 5 ნაწილისაგან, აქვს სპეციალური ზონა ბავშვებისთვის და ღია ტერასა შავი ზღვის ხედიტ. რესტორანს შეუძლია ერთდროულად უმასპინძლოს 400 ადამიანს შიდა დარბაზში და 450 ადამიანს ღია ტერასაზე.

სავაჭრო ცენტრს განსაკუთრებულ მომხიბლელობას ჰმატებს ის რომ მის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილია თურქეთისა და საქართველოს წამყვანი საცალო სავაჭრო და სწრაფი კვების ობიექტის ბრენდები ისეთები როგორიცაა Vogg, Waikiki, Flo, Defacto, Burger kings, Subway, dunkin donats, okaidi , bata და ბევრი სხვა .

კომპლექსში წარმოდგენილი კაზინო, რომელიც 2017 წელს იჯარით გაიცა შპს „ალიუდ იუნიტას ჯორჯია“-ზე (Casino XO) განსაკუთრებით დიდი პოლპულარობით სარგებლობს ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ვიზიტორებს შორის .

სკოლა - რომელიც წარმოდგენილია მწვანე ქუჩის N2-ში. 5.520 მ2 ტერიტორიაზე აშენებული 4 სართულიანი სკოლის შენობა, სადაც 2016 წლიდან მიმდინარეობს განათლების მიღება.

რაც შეეხება ახალ დასრულებულ პროექტ მეტრო სიტი ფაზა2 რომლის მშენებლობაც დაიწყო 2016 წელს, 2020 წლის ივნისში დასრულდა და უკვე ივლისის თვეში მას შემდეგ რაც გაიარა კანონით დადაგენილი სრული ინსპექტირება პირველი ვიზიტორები მიიღო .

აღნიშნული პროექტი წარმოდგენილია 20.000 მ2 მიწის ფართობზე და განახორციელა 100 % შვილობილი კომპანია სს მეტრო სიტი ლეჯენდ ბათუმი-ს მიერ რომელთანაც უშუალოდ შერწყმა დედა კომპანიასთან მოხდა 25/11/2020

სასტუმრო-საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს ზღვასთან ახლოს, ლეხ და მარია კაჩინსკების #3 -ში, შედგება 3 კორპუსისგან. სთავაზობს ბინებს და პენტჰაუსებს კერძო ავტოსადგომით, ფართით 54-დან 100 კვ.მ.-მდე. უშუალოდ სასტუმრო შედგება 590 სასტუმრო ნომერისაგან, წარმოდგენილია მცირე და პატარა საკონფერენციო დარბაზები, და რესტორნები, ასევე ღია და დახურული აუზი, სპა ცენტრი.

მიმდინარე პროექტები

მეტრო გოდერძის - ის წარმოადგენს მაღალმთიან ხულოს მუნიციპალიტეტში განთავსებულ ყველაზე დიდ სამთო სასტუმროს; იგი განთავსებული იქნება სს „მეტრო

ატლას ჯორჯია,-ს საკუთრებაში არსებული 5.500 მ² მიწის ნაკვეთზე, დახურული ფართი - 17.000 მ². პროექტი მოიცავს სასტუმროს 210 ნომრით, რესტორანს, კაფეს, სპა-ფიტნეს დარბაზს. მშენებლობა დაიწყო 2017 წელს და სრული დასრულება და ექსპლუატაციაში ჩაშვება იგეგმება 2021 წლის ბოლოს .

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 12.000.000 აშშ დოლარს და მას ახორციელებს ასევე 100 % შვილობილი კომპანია „ მეტრო გოდერძი“

კომპანიაში 2020 წელს საშუალოდ დასაქმებული იყო 47 ადამიანი და ჩვენ განსაკუთრებულად ვამაყობთ იმით რომ მიუხედავად პანდემიისა და ეკონომიკური აქტივობის კოლაფისისა განსაკუთრებით 2020 წლის პირველ ნახევარში და სხვა არაერთი გამოწვევისა შევძელით სრული გუნდის შენარჩუნება .

რეგულაცია

- სურსათის უვნებლობა - ჩვენ სრულად შევესაბამებით კანონის მოთხოვნებს, რაც დადასტურებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული არაერთი შემოწმებით, რომელთა შედეგად დარღვევები არ დადგინდა.
- მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა. აქაც სრულად შევესაბამებით კანონის მოთხოვნებს.
- სახანძრო უსაფრთხოება. სასტუმროში გამართულად მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. ჩვენ ვზრუნავთ როგორც ჩვენი მომხმარებლების, ასევე ჩვენ საკუთარ უსაფრთხოებაზე. პერიოდულად თანამშრომლებისთვის ვატარებთ სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგებს.
- წყლის ხარისხი - ჩვენი სასტუმროები რეგულარულად მოწმდება წყლის ხარისხზე, წყლის სინჯების აღებითა და შემდგომ შესაბამის სპეციალურ ლაბორატორიაში მათი შემოწმებით. ჯერჯერობით არ აღმოუჩენიათ შესაბამის ნორმატივებთან რაიმე სახის გადახრა .

ძირითადი რისკები და გაუგებრობები

2020 წელს პანდემიის გამო, მსოფლიო გლობალური ეკონომიკა ბოლო 12 წლის მანძილზე უპრეცედენტოდ შემცირდა, კორონავირუსისაგან წარმოქმნილი მსოფლიო მშპ-ს დანაკარგებმა 1 ტრლნ დოლარს გადაჭარბა, მაგრამ აქაც ყველაზე დიდი

დანაკარგი მაინც რამდენიმე სფერომ იწვნია, რომელთაგან გამორჩეულია ტურიზმის ინდუსტრია და სავაჭრო ცენტრები ე.წ დიდი მოლები რომლებიც საერთოდ დაკეტილი იყო რამდენიმე თვის მანძილზე და გახსნის შემდეგაც უმკაცრესი რეგულაციით მუშაობდა ისიც ნაწილი წლის მანძილზე კომენდანტის საათის პირობებში .

აქედან გამომდინარე ჯაჭვურად პრობლემები შეექმნა უკლებლივ ყველა ჩვენს არენდატორს რომელთაც ასევე შეუჩერდათ საოპერაციო საქმიანობა და შესაბამისად შემოსავალიც.

დღეს უკვე ფაქტია რომ კორონავირუსმა სრულიად შეცვალა ეკონომიკა და პანდემიამდე პერიოდის მონაცემების აღდგენას შესაძლოა წლები დასჭირდეს, რაზეც რამდენიმე ფაქტორი იმოქმედებს, პირველ ყოვლისა ხალხი ეგრევე არ დაიწყებს მოგზაურობასა და საყიდლებზე იმ მოცულობით თანხების დახარჯვას როგორც მანამდე, მილიონობით ადამიანმა ბანალურად ან სამსახური დაკარგა ან მნიშვნელოვნად შეუმცირდა შემოსავალი, გარდა ამისა მნიშვნელოვანია როგორ წარიმართება ვაქცინაციის პროცესი, როგორც მსოფლიოს მაშტაბით ასევე ზოგადად ჩვენს რეგიონში , მნიშვნელოვნად ვიქნებით დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ კოვიდ ტესტების დადებითობის მაჩვენებელზე, რომელზეც უშუალოდ იქნება დამოკიდებული ვირუსის ახალი ტალღის გამოცხადება და აქედან გამომდინარე ახალი რეგულაციების სიმკაცრე და მისგან გამომდინარე მსუბუქი თუ სრულმასშტაბიანი ლოქდაუნები რაც ბუნებრივია კვლავ მთავარ გამოწვევად და ასევე მთავარ გაურკვევლობად რჩება ჩვენთვის .

ძირითადად ეს და ასევე დამატებული სხვა ფაქტორები ძალიან გაურკვეველს ქმნის ჩვენი კომპანიის გეგმებს როგორც მოკლევადიან ასევე გრძელვადიან პერიოდში, ფაქტია რომ მთლიანად დამოკიდებული ვართ და ვიქნებით მომავალშიც ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციაზე .

მაგრამ ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ რომ სწრაფადვე მოვერგეთ ყველა იმ ახალ რეგულაციას რაც ჩვენს ინდუსტრიაში დაინერგა, ვიცავდით და მომავალშიც დავიცავთ ყველა იმ რეგულაციას რაც სახელმწიფო რეგულაციის კუთხით გახდება საჭირო რათა უფრო მეტი სიფრთხილით მაგრამ დაუბრკოლებლად გავაგრძელოთ მუშაობა .

გააზრებული გვქონდა რა ჩვენი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, მთელი პანდემიის პერიოდშიც მაქსიმალურად შევეცადეთ და მართალია მონაცვლეობით მაგრამ მაინც გვყავდა დასაქმებული თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი .

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან, სამართლებრივ რისკებთან და რეპუტაციულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კრედიტით გაყიდული მომსახურებიდან. კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი კრედიტით გაყიდვების მინიმუმამდე დაყვანით. კრედიტით გაყიდვები ხდება გამონაკლის შემთხვევებში, ისიც მხოლოდ საიმედო და გამოცდილ ტურისტულ სააგენტოებზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს აღნიშნული რისკის მართვას ფასების მოქნილი ლავირების მეშვეობით.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი - განისაზღვრება, როგორც კომპანიის უუნარობა შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას. კომპანია მკაცრად აკონტროლებს როგორც დებიტორულ, ასევე კრედიტორულ დავალიანებას და უზრუნველყოფს ოპერირებისთვის საკმარისი სახსრების აკუმულირებას.

საოპერაციო რისკები ძირითადად უკავშირდება ინფლაციას და ამინდის არამდგრადობას, რასაც კომპანია უპირისპირდება ფასების ლავირებით, მარკეტინგული ღონისძიებებითა და დამატებითი გასართობი სერვისების შეთავაზებით .

რეპუტაციული რისკი არის მოქმედი და პოტენციური არაპირდაპირი რისკი შემოსავლებზე და კაპიტალზე, რომელიც წარმოიქმნება მომხმარებლების, კონტრაგენტების, აქციონერების, ინვესტორების, მარეგულირებლების ან სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან კომპანიის იმიჯის უარყოფითი კუთხით აღქმის შედეგად. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ ჩენი სასტუმროების შესახებ

გარეშე პირების მოსაზრება მოლოდინზე ნაკლებად სასიამოვნოა. რეპუტაციული რისკის მართვა ხდება შესაბამისი პროცედურებით და კომპანიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულების მიერ.

უსაფრთხოება. კანონმდებლობა უსაფრთხოების საკმაოდ მაღალ სტანდარტებს აწესებს. ჩვენ ვცდილობთ უფრო შორს წავიდეთ და მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილება დავნერგოთ, რათა თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემო უზრუნველვყოთ.

კომპანიას გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა. თანამშრომლები პერიოდულად გადიან ტრენინგს უბედური შემთხვევებისთვის თავის ასაცილებლად და ბუნებრივი კატაკლიზმებისა და გაუთვალისწინებელი მოვლენების შემთხვევაში ქცევის წესების შესახებ. ფინქციონირების განგრძობითობის მართვის პოლიტიკა შემოშავებულია და გამოყოფილია ის საკვანძო თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კრიზისული სიტუაციების მართვაზე.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის შემოსავლებმა შეადგინა 21 935 342 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რომელიც 35 994 924 ლარს შეადგენდა, 39%-ით ნაკლებია რაც განპირობებულია კოვიდ პანდემიითა და ეკონომიკური გლობალური კრიზისითა და სექტორის არნახული ვარდნით .

საერთო მოგების მარჟა - 2019 წელს ის 21% შეადგენდა, ხოლო 2020-ში 18% გახდა. აღნიშნული ცვლილება წარმოების და ხარჯის ზრდა.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გაიზარდა 1,12-დან 3,26-მდე, რაც ნიშნავს, რომ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას საფრთხე არ ემუქრება.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტიც გაიზარდა 0,59-დან 1,92-მდე, რაც ნიშნავს, რომ მიმდინარე ვალდებულება დროულად და დროზე ადრე იქნება დაფარული.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების მთავარი გარანტიაა. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომლის განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლების და მომხმარებლების პირად მონაცემებს. ჩვენ მუდმივად ვიხილავთ და ვახლებთ შესაბამისი რისკებისგან თავდაცვის მექანიზმებს.

ეთიკური ქცევის კოდექსი უპირველეს ყოვლისა დაფუძნებულია სამართლიანობის პრინციპებზე. ის მიმართულია გადაწყვეტილებების მიღებისა და ქცევის იმგვარ წარმართვაზე, რომ მიღწეული იქნას მათი მიზნები. ჩვენი კომპანია ორიენტირებულია სამართლიანი და ეთიკური ფორმით იმოქმედოს ყველა აქციონერისა და დაკავშირებული პირის მიმართ, რადგან თვლის, რომ ეთიკური ქცევა ამყარებს კარგ კორპორატიულ მართვას. ვესწრაფვით რა შიდა და გარე დაკავშირებული მხარეების ნდობის გაძლიერებას ჩვენი კომპანია კორპორატიული მართვისა და ეთიკის სტანდარტებისადმი, უზრუნველყოფს რომ ნებისმიერი შიდა დაკავშირებული მხარის არაეთიკური და უკანონო ქმედება არ დარჩება უპასუხოდ.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქუმსალ ათან -----

ნონა ბოლქვაძე -----

ნინო ირემაძე -----

1 ოქტომბერს 2021 წელი

საქართველო, ბათუმი

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ თანამშრომლები კომპანიის წარმატების მთავარი გარანტიაა. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ თანაბარი შესაძლებლობები ყველა თანამშრომლის განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლების და მომხმარებლების პირად მონაცემებს. ჩვენ მუდმივად ვიზილავთ და ვაახლებთ შესაბამისი რისკებისგან თავდაცვის მექანიზმებს.

ეთიკური ქცევის კოდექსი უპირველეს ყოვლისა დაფუძნებულია სამართლიანობის პრინციპებზე. ის მიმართულია გადაწყვეტილებების მიღებისა და ქცევის იმგვარ წარმართვაზე, რომ მიღწეული იქნას მათი მიზნები. ჩვენი კომპანია ორიენტირებულია სამართლიანი და ეთიკური ფორმით იმოქმედოს ყველა აქციონერისა და დაკავშირებული პირის მიმართ, რადგან თვლის, რომ ეთიკური ქცევა ამყარებს კარგ კორპორატიულ მართვას. ვესწრაფვით რა შიდა და გარე დაკავშირებული მხარეების ნდობის გაძლიერებას ჩვენი კომპანია კორპორატიული მართვისა და ეთიკის სტანდარტებისადმი, უზრუნველყოფს რომ ნებისმიერი შიდა დაკავშირებული მხარის არაეთიკური და უკანონო ქმედება არ დარჩება უპასუხოდ.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ქუმსალ ათან

ნონა ბოლქვაძე

ნინო ირემაძე



1 ოქტომბერს 2021 წელი

საქართველო, ბათუმი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

თქვენი 2021 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ: გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

აუდიტს წარმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „საქართველოს კანონი მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები, რაც მიგვანიშნებდა მმართველობის ანგარიშგების მოუმზადებლობაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აბზაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
- კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

ჩვენ მიერ, 2021 წლის 1 ოქტომბრით გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დათარიღებული 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

გარიგების პარტნიორი

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2021 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, ბათუმი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

თქვენი 2021 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ: გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

აუდიტს წარმართავდით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოების ვალდებულებიდან გამომდინარე; საქართველოს კანონის - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებასთან ერთად მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამოები, რაც მიგვანიშნებდა მმართველობის ანგარიშგების მოუმზადებლობაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრაცებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;
- კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

ჩვენ მიერ, 2021 წლის 1 ოქტომბრით გამოშვებულია დასკვნა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ დათარიღებული 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

გარიგების პარტნიორი

მაია ფეიქრიშვილი (SARAS-A-965293)

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ (SARAS-F-638067)

2021 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, ბათუმი

